



1898 დეკემბერი

უფრინას „ჯეჯილისა“

I ტყის სურათები ლექსი — შ. მდვიმელისა . . . . .	3
II შაქროს სიზმარი (საშობაო მოთხრობა) — ი. ფ — ძისა . .	7
III ფული არ არის ბეღნიერება (ჩუსულიდან) — ელენე ა — ნისა .	17
IV სოლოლას ლექსი (ხალხური) . . . . .	25
V წყარო (სომხურიდან) — ბ. გვანგულოვისა . . . . .	27
VI დათუნის ოჯახობა — თან — ენ ჭან — ინ — ისა . . . . .	31
VII ორი მეგობარი (საშობაო მოთხრობა) — მ. დემურიასი . . .	45
VIII კალატოზი (იგავი) — ალ. მ — შვილისა . . . . .	53
IX წერილმანი: ხალხურა, გამოცანები, ანდაზები, სამათემატიკო კო. გამოცანები, შარადა, რეპუსი, სარჩევი და სხვა . . .	54

— : 0 : —

იბეჭდება და მაღე დაურიგდებათ „ჯეჯილის“ 1898 წ.  
ხელის მომწერლებს პრემია „ალბომი ცხოველთა  
ცხოვრებიდან“.



ს ა ზ მ ა ზ ვ ი ლ ი ნ ა ს ა ზ ი ლ ი

ქ უ რ ნ ი ლ ი

ი ზ ა რ დ ე , მ წ გ ა ნ ე ჯ ე ჯ ა ლ ლ  
დ ა პ უ რ დ ი , გ ა ხ დ ი ყ ა ნ ა ლ .

M<sup>o</sup> XII

## ଓଲିଙ୍ଗାରୀ ମହିଳାଙ୍କ ପାଇଁ

ଓଡ଼ିଆ ଉତ୍ସବ

Արքածա թ. Պ. Խոյքովանցովս ||| Տիպ. Մ. Դ. Ռոտինաւց. Գոլ. ար., գ. № 41.  
1898.

03006036868 030072650

предмет

Дозволено цензурою Тифлисъ, 3 го Декабря 1898 года.

ИХ Н

03006036868

030072650

0001



## ცყის სურათები.

ეხედეთ გუგულს ამ დილას  
რა ამბავი აქვს, რა ყოფა,  
ისე გაჭირვის თითქო სურს  
ცისა და ქვეშნის გაყოფა.

კვეხით და ბაქი-ბუქობით

ჭილა-ტყე გამოაყრენა,  
რა ლეირცხვილო რამ არი,  
გენაცვა, დედავ, რა ცროა!

გუგულო, შენის თავისა  
ნეტა რათ არა გრცხვნია;  
ჭერი ან ბინა საკუთრათ  
როდისმე შეგიძენია?

გიუ-მაყარივით დაშვოთავ,  
დაფურნავ ყოველ მხარესა,  
დოლა-საღამოს გხედავენ  
მხიარულს, მოხარხარესა.



არას აკეთებ, მთელი დღე  
ხმა-მაღლა ჰყვირი „გუგუსა“;  
თუ სტომრათ ვინმე გიწვია  
ჰყრავ-პანდურსა და კლკლსა.

ଅରୁଣିନ ଗିନଦା ଶେନ୍ସ ତ୍ୟେଶି

ଶ୍ରେଷ୍ଠ କିଣିଗିର ନାର୍ଯ୍ୟବନ୍ଦରେ,

ଶ୍ରେଷ୍ଠ ସାରକିନ-ସାଥାରି

ତମନଦା ମଞ୍ଜିତାତାପ ଲୋକେବନ୍ଦରେ...

ଶ୍ରେଷ୍ଠ ତୁରିନ୍ଦ୍ରବେଲ୍ଲେବତାନ ହେବୁଳିଲ ଫରଣ

ଅରୁଣ୍ୟେରଶି ଗାଈସ ଗ୍ଵାନ୍ଦେବା;

କପିଲପକ୍ଷେଖି ରୈ ଧାସଦେବ, ଶାତ୍ରା ଗ୍ରେନିଲ

ରୁ ଶାତ୍ରା ଗ୍ରେନିଲାନ୍ଦେବା.

ରୁ ଶିଶ୍ରୂପାରନ୍ତରେ ଉଚ୍ଚନ୍ଦେବା,

ମିତକାରି, ଶେନ୍ସ ଶ୍ରେଷ୍ଠବେଶା,

ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଦାର୍ଢିଲିଲେଖି,

ଶ୍ରେଷ୍ଠିଲାବ୍ୟ ଦାର୍ଢିକିଲେଖିଲା.

ମାତ୍ର ରିଲ ଦେଇବ ଶାର, ଗୁଣ-ମୃଦୁଲାରଣ,

ରିଲ ମରାମାଗ୍ରେ-ମଶିଲେଖି,

ତମ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲେଖି ନାନୁ ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠକାର


ମିଲିଲିଲ ଫରଣ ଦାମାତ୍ରପଲେଖି!

ଏହା ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ଏହି ଗ୍ରୀବିତି,

ଶ୍ରେଷ୍ଠ ରିମ ଏହା ଶ୍ରେଷ୍ଠଦେବା,

ରାତ୍ରି ଶ୍ରେଷ୍ଠ ରିମ ନାଥିଲ ଶାନ୍ତିରି

ତ୍ରୟାଲିଲ ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠବନ୍ଦରେବା.



შვილებს გულს როგორ ააჭლის,  
დაუგინგლავებს, ტკლიპებსა,  
ან როგორ ანდობს მათ შაშვებს,  
თუნდა ჩხარევებს, გინდა ჩხიქვებსა.

କନ୍ଦରେଶାପ ମନ୍ଦିର ମିନଦ୍ୱରିଧାନ  
ମାମାଙ୍ଗି ଗ୍ରହିତି ଦ୍ୱାରେମି,  
ଏଥ ମାମିନ ଫାଯା ସାକ୍ଷେତା  
ନେତ୍ର ମାତ୍ରାକବଳାତ ଚଲନ୍ତରେମି...

ରୁ କ୍ଷୁଦ୍ର-ମନ୍ତ୍ରପ୍ରାରି ଧାର୍ଯ୍ୟକିନ୍ଦାଙ୍କେ  
ଏ ଶାଶ୍ଵତ ପ୍ରାରଂ-ମାରାତା,  
କୁନ୍ତ ତ୍ୟଗେ ପ୍ରସରୀବା ଗାର-ଶେମଳ,  
କୁନ୍ତ ଧାର୍ଯ୍ୟପ୍ରାରି ପାରାତା:



დილას ბუდის წინ ფრთა-გაშლით  
მისრიალ-მოსრიალობდა,  
შვილების მზერით დამტკბარი  
ზოგჯერ ხმა-ტკბილათ გალობდა.

ახლა კი უცბათ საბრალოს  
ვარამ-ნაჯველი სწევია,  
არ ვიცი ქორს, თუ მიმინოს  
მის ბუდე დაუნგრევია.


ბეჩავ, სისხამზე მიმინობ  
ჩლუმათ რომ ჩამოვიარა,  
ალბათ დაგზვერა, მხოლოდ შენ  
გულს არა გაგივლიარა.

ମେ କାରଗାତ ବୀଚନ୍ଦ୍ର ନି କେନାନ୍ତିଃ,  
ସିଲ୍କଣ୍ଡିଲେ ମେହେଣ୍ଟିଲେ, ଧାଉଦ୍ରେଗାରିଲୁ,  
ନିଳାଳିଲା, ମିଥ୍ୟକ୍ରେପିଲେ ଅମନମଧ୍ୟରେଲେ  
ରା ତୁଳନାଲ୍ଲେବିଲେ ମେଲଗାରିଲୁ。  
ଏହିର ଶୁଭଜ୍ଞରେ ଶାଦା ଶିଳେ



და კიდევ ათვ-ლიერებს  
გამვლელ-გამოტვლის გზა-კვალია.  
ქვის ფრათ გაპევრია კლდეს წყერზე  
გიო მონადირე საფარსა,

შ. მლვიმელი.



## შაქროს სიზმარი.

(საშოახო ამბავი მოსწავლეთა ცხოველებიდან).



ნდა წახეიდე, — გიგო, საშობაოთ სახლში?! ჰყითხა ამხანაგს მოწაფე შაქრომ შობის წინა დღეებში.

— სად ან ეისთან უნდა წავეიდე, რომ არაენ მყავს: არც მშობლები, არც ახლო ნათესავები. ხომ იცი, ნათლია მზრდის სამაღლოთ!! ის რომ არა მყოლოდა, მე უსწავლელი დაერჩებოდი — მიუგო გიგომ და თანაც გულ-საკლავათ ამოროხრა... შემდეგ დაფიქრდა და თვალები, ცრემლით აევსო.

-- გიგო! ჩემთან წამოდი საშობაოთ, უსათუოთ ჩემთან წამოდი... ჩემი მშობლები სიამოვნებით მიგიღებენ...

— დიახაც წამოვალ, მაგრამ რა ვქნა, რომ ტანისამოსი არა მაქეს. ხედავ, შაქრო, ჩუსტები როგორ გამიცვლა?!

— მე დღეს მაგაზე არას გეტუვი... ხეალ გეტუვი უველაფერს... უსათუოთ ბედნიერ დღეებს ჩვენ სახლში გაგატარებინებ. — უთხრა შაქრომ...

გიგო ახლათ მიღებული მოსწავლე იყო ქალაქის ოთხ-კლასიან სასწავლებელის მესამე კლასში. ის იყო სოფლელი გლეხის შვილი, უპატრიონ; დედ-მამა ძლიერ ადრე დაეხოცა; ჰყავდა მხოლოდ ღარიბი, რაც შორეული, ნათესავები. დაობლების შემდეგ გიგო ღვთის

ანაბარათ, იზრდებოდა; ხან აქ იყო, ხან იქ, ზოგი პურს აჭმევდა  
 და ზოვიც ტანისამოსს აცმევდა... ექვსის წლის გიგო სოფლის მღვ-  
 დელს მამა ილარიონს დაუახლოვდა, — მოძლეარმა შეატყო, რომ  
 გიგო ნიჭიერი ბავში იყო. იმას შეებრალა ობოლი, უპატრიონო გი-  
 გო და თავის შინა მსახურათ დაიყენა... ქართული წერა-კითხვა  
 მღვდელმა ირი წლის განმავლობაში შეენიერათ შეასწავლა და  
 მერე კი — რუსულის სწავლაც დაწყებინა. გიგოს ქალაქში ერთი  
 ნათლია ჰყავდა, რომელსაც კარგათ იცნობდა მამა ილარიო-  
 ნი... მამა ილარიონის მეოხებით ნათლიაშ გიგო თავის სახლ-  
 ში წაიყვანა, ირი-სმა წლის განმავლობაში მოამზადებინა და  
 ოთხკლასიან სასწავლებლის მესამე კლასში მიაღებინა. გრგოს ნა-  
 თლია თე-თონ წერილშეილი კაცი იყო და მაინც და მაინც კარ-  
 გათ ვერ ინახავდა ნათლულს. მართალია გიგოს არ შიოდა,  
 საჭმელი საქმით ჰქონდა, მაგრამ, ტანრესამოსი და სასწავლო ნივ-  
 თების შხრით გრძნობდა დიდ ნაკლულებანებას... სასწავლებელში  
 გიგო პირველ ხანათ ამხანაგებს როგორლაც ერიდებოდა, გაუჩბოდა,  
 არ ეკარებოდა, მაგრამ თან-და-თან შეეჩინა იმათ, შეეჩინა სკოლას  
 და იქაურს ზე-ჩეცულებას... გიგომ ბეჯითობით მასწავლებლების  
 ყურადღებაც მაღლ დაიმსახურა. სილარიძე სისაწყლემ ფიქრს შეაჩინა  
 და დინჯი და ლეთის მოყვარე ბავში დადგა. გიგო მაღლ დაუახ-  
 ლოვდა შაქროს. შაქრო სწორეთ გიგოს ჰყავდა ყველაფერში...  
 მსგავსი მსგავსი ნახა და მათ შორის მტკიცე, მეგობრულა კავშირი  
 დამყარდა... შაქროს მდიდარი მშობლები ჰყავდა და მდიდრულათაც  
 ეცვა... დილით მას კლასში საუზმე მოჰკონდა და ტოლა-ამხანაგებს  
 და უფრო გიგოს, უზიარებდა ხოლმე... ამასთან შაქროს ერთი კარგი  
 ჩეცულება ჰქონდა: რაც უნდა კარგი, ქართული ან რუსული, წიგნი  
 ენახა, ის უეცველათ მასწავლებლების ნებართვით იყიდდა. ამნაირათ  
 შაქრომ შეიძინა მრავალი წიგნი რუსულს და ქართულს ენაზე.  
 ამხანაგებიც სარგებლობდენ ამ წიგნებით; უფრო კი გიგო.  
 უნდა გენახათ, როგორი სიამოენებით ათხოვებდა ხოლმე შა-

ქრო ამხანაგს ამა თუ იმ წიგნს!! გიგომაც ძლიერ შეიყვარა წიგნების კათხვა, და შაქროც სწორეთ ამ მხრით იყო მისთვის გამოსაღები... მაშინ, როცა სხვა მათი ამხანაგები ცუდაობაში და ლაზ-ლანდარუბაში ღროს ატარებდენ, შაქრო და გიგო ან გაკეთილებს სწავლობდენ და ან რომელსამე სასარგებლო წიგნს ჰეროების შემართვაში იშევათ ჩატარდენ ისინი ამხანაგებში სათამაშოთ. სასწავლებლის მთაერობაც შაქროს და გიგოს სამაგალითო მოწაფებათ თვლიდა და სხვებს მათზე უთითებდა, შაქრო და გიგო მართლაც სამაგალითო მოწაფები იყვნენ ყველაფერში. ისინი წირვა-ლოცვას არასოდეს არ აკლდებოდენ; ყველაზე ადრე, საეკლესიო ზარის დარეკამდის, მიღიოდენ საყდარში; ღვთის მსახურების ღროს მოწიწებით და მოკრძალებით იდგენ და ღმერთს გულ-მხურვალეთ ევედრებოდენ.

## II.

ქალაქის შუაგულ, საუკეთესო აღილზე იღგა ერთი ორსართულიანი სახლი, რომელსაც გარშემო ჰქონდა შემოვლებული გალავანი. ერთი მხრით ამ გალავანს პატარა რუ ჩამოუდიოდა, და სამის მხრით კი ქუჩები ვადიოდა. ეს სახლი ეკუთვნოდა შაქროს მამას, იორაშს, რომელიც, მთელ ქალაქში დიდი ქონების და შეძლების პატრიონათ ითვლებოდა... მეორე სართულში ცხოვრობდა ორამი თეისის ოჯახობით, ცოლით, ორი ქალით და სამი ვაჟით. სასტუმრო ოთას აშევნებდენ სურათები საქართველოს მეფის: თამარისა, რუსთველისა, ერეკლე მეფისა, პუშკინისა, ლერმონტოვისა და სხვ.... ოთახის აღმოსავლეთით სახატე იყო გაკეთებული და იქ ესვენა ხატი საქართველოს განმანათლებლის, წმ. მოციქულთა-სწორის დედის ნინოსი, რომელსაც საეკლესიო საგალობელი „სულის-წმიდის ქნარს“, „საქართველოს ერის წინამძღვანს“ და „ღვთის დედის საკუთარ მოწაფეს“ უწოდებს... შაქროს ტედას ნინო ერქვა და თოთხმეტ იანგარს, წმ. ნინოს ხსენების ღლეს, ის ყოველ წლობით



თავის დღეობას იხდიდა... ამ დღეს ნინო მღედელს აწირებინებდა, ეკულესიას შესაწირავს მიართმევდა და მოწყალებას გასცემდა. საღამოს მის სახლში სტუმრები თავს იურიდინ, უფრო კი ქალები და სხვათა შორის ნეტარხსენებულის „ლოტოთი“ დროს ატარებდენ... შაქროს მშობლები ლეთისმოყვარე და კეთილის მომქმედი იყვნენ: წირვა-ლოცვაზე სიარული ეხალისებოდათ, ღარიბი და გაჭირებული ებრალებოდათ და შეილებსაც გულში უნერგავდენ ლეთის მოყვარეობის და ქველ-მოქმედების წმიდა გრძნობას... იორამი უსწავლელი კაცი იყო; ძლიერ ხელს აწერდა ქართულათ და რუსულისა ხომ არაფერი გაეგებოდა. ნინომ ცოტა ოდენი რუსული ლაპარაკი იცოდა და ქართულს წერა-კითხვაში კი დახელოვნებული იყო. შაქროს მშობლებსაც ესმოდათ სწავლა-განათლების დღი მჩიშენელობა და ამიტომ ცდილობდენ მათი შეილები უსწავლელნი არ დარჩენილიყვნენ... სამ-ვე ვაჟი სასწავლებელში დაუდიოდათ.

შობის წინა დღეებში „ტაბაკა“ შემოსხუმია მთელი ოჯახობა. ტაბლაზე დგას განუშორებელი სამოგარი და მის გვერდით აწყვია სამოვრის კუთვნილებანი. ჩაფიქრებული, სამოც წელს გადაცილებული, იორამი თავის საუკარელ ჩიბუს ეწევა. ქართულათ თავ-დახურული დიასახლისი, ნინო, გვერდით უზის ქმარს სამოვრის ახლოს. მათთან სხედან ერთი ერთმანეთის მომდევნო შეილები: სოსო, ნიკო და შაქრო... შაქროს ჩვეულება ჰქონდა ჩაის სმის დროს გშობლებისთვის გამბნა რამე საღმრთო ისტორიიდან და ან რომელიმე წიგნი წაეკითხა მათთვის. მშობლები დიღის ქმაყოფილებით უსმენდენ შაქროს და აღტაცებაში მოდიოდენ მისი მცეერ-მეტყველური კითხვით და ლაპარაკით. ამასაბაში იორამს ჩაიც გაუვრილებოდა და გრილი ჩაის სმა — მისი ნეტარება იყო; ცხელს ჩაის ახლოს არ მიეკარებოდა, კბილებს აფუჭებსო და ყელის აერთმყოფობას აჩენსო. ამ საღამოსაც შაქრო ჩვეულებრივ ლაპარაკობდა, ენას არ აჩერებდა, მხრარულათ იყო. მისი ძმები კა ჩუმათ ისხდენ და მოუთვენდათ ელოდებოდენ იმ დროს, როცა მათ დედა

ჩიის დაუსხამდა... ხანდახან ისინიც ღრუ გამოშეებით იღებდენ მონაწილეობას შაქროს საუბარში.

— ხეალ ოთხი გაკვეთილი გვექნება თუ არა, შაქრო?! ჰყითხა მას ნიკომ.

— ზედამხედველმა თქვა, ოთხივე გაკვეთილი იქნებაო... მაგრამ თითო გაკვეთილი ნახევარ საათის მეტი არ გაგრძელდებაო.

— მასწავლებლება ჰყითხავენ თუ არა გაკვეთილებს?

— სწორე გითხრა მაგისი კი არა ვაცი რა...

— რას გაუშვებს ნიკალაი პეტროვიჩი, რომ გაკვეთილი არ გვითხოს!! სამი წამი რომ გაგძელდეს თითო გაკვეთილი, ის მაინც ჰყითხავს და შეიდიოდე ბავშვს დაუსვამს ცუდ ნიშნებს — თქვა სოსომ, რომელიც ალბათ გულ-ნატკენი იყო ამ მასწავლებლისგან.

— მაგას არ დავიჯერებ, არ დავიჯერებ, რომ მასწავლებელი ვისმე ემტერებოდეს. შენ და ნიკო ზარმაცები ხართ და იმიტომ ვერ სწავლობთ კარგათ... ხეალ ვნახავ, როგორ მოწმობას მოიტანთ —, თქვა იორამშა.

სოსომ და ნიკომ თავი ჩალუნეს, ეტყობოდათ, რომ კაი მოწმობას ვერ მოიტანდენ, შაქრომ კი თავმომწონეთ თქვა:

— იმედი მაქეს, კაი მოწმობას მოეიტან და გასიამოვნებთ.

— ვიცი, შეილო, ვიცი და კაი საჩუქარსაც მოგცემ. — უთხრა შაქროს მამამ.

— ხუთ მანეთს მაჩუქება!?

— გაჩუქება...

— ჩემი ამხანაგი, ობოლი გიგო, რომ ამ ბედნიერ დღეებში ჩემთან მოეიყვანო, არ გეწყინება?!

— არა, შეილო, არ მეწყინება, შეილსავით მიეიღებთ.

— ხუთი მანეთით გიგოს ტანისამოსი და ფეხსაცმელი უნდა ვუყიდო.

— შენი ნებაა, შეილო! შენ ოლონდ ისწავლე და მთელ ჩემს ჭონებას ზედ გადაგაგებ. ჩემი შაქრო! შენ ახარებ შენი მოხუცე-

ბული მამის გულს. სოსო და ნიკო სიზარმაცით გულს მიღონებენ: რე, წელიწადია რაც თითო მათგანი სწავლობს და მესამე კლასს ვერ გადაშორდენ. შაქრო! მასწავლებლები შენს ქებას მეუბნებიან და ძლიერ გრძადლიერებიან... შენგან ბეღნიერი ვარ...

— რაც უნდა ეჩიჩინო, ნიკო და სოსო მაინც არას ისწავლიან: „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“ — ნათქვამია, — უთხრა იორამს ნინომ შეწუხებით.

— ბოლოს ინანებენ, მაგრამ გვიანდა იქნება. თქვა იორამშა.

— მართალია, შენმა სიცოცხლემ, მართალი... — უთხრა ნინომ — ტყუილათ კი არ უთქვამს დაეით გურამიშვილს:

„ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,  
თუ ეძებ გემოვნებასა;

თავს სინაწყლი სჯობია

ბოლოს ფამს დანანებასა. . . .

მაშინ იხარებს მწიგნავი,

ოდეს მოისთვლის მოევნებას;

ეგუედ მოსწავლე სწავლასა

რა სრულ ჰქონდს, განისვენებას!

სწავლა სიკედილმდე შეჩია,

მუდამ შენთანა მყოფელი

მას გეცილების ვერავინ,

არ არის ვასაყოფელი. . . .

თუ გაცსა ცოდნა არა აქს


გასტანჭავს წერთასოფელი!

შაქროს იმ ღამეს სიხარულით ალარ დაძინებია... მოუთმენე-

ლათ მოელოდა გათენებას, როდესაც ის თავისს საყვარელს ამხანაგს გივის სასიამოენო ამბით გაახარებდა...

## III.

სიხარულით აღელვებულ შაქროს გათენებისას ძლიერ ჩაეძინა... ძილში ნახა მეტათ საუკხოეო სიზმარი. ეითომ შაქრო პალესტინა-ში არის, იმ კურთხეულ მხარეში, საღაც დაიბადა, აღიარა არდა, ჰქა-დაგებდა, ჯვარს ეცვა, მოკვდა, აღსდგა და ცაში ამაღლდა მაცხო-ვარი ჩენი იყსო ქრისტე. ხედავს შაქრო: ერთ ადგილს, ხეს ქვეშ— აუარებელი ხალხი შევროვილა და მოკრძალებით ყური, უგდებს ერთ მქადაგებლის სწავლა-დარიგებასა... მრავალი ხალხა აქ მო- გროვილი: მოხუცებულნი, ახალგაზდები, ქალები—ძუძუ-მწოვარი ბავშებით, ფარისეველები, მწიგნობრები, საღუკეველნი; აქ არიან შეი- დი-რეა წლის ყმაწევილებიც, რომელნიც მხიარულათ დარბიან და ზოგი პეპულას დასდევს ბუჩქნარში, ზოგი ანკესით თევზს იჭერს ახლოს მოჩუქჩებე ან კარა მდინარეში. შაქროც იქ არის... მხოლოთ უკ- ვირს, რომ იქ ამხანაგებს ვერ ხედავს, სულ უცხო, უცნობი ხალ- ხია. ერთს და იმავე ღროს მას კიდეც ეშინა და კიდეც უხარია — ამ უცხო სანახაობისა... ის ყმაწევილების გროვაში არ ერევა; ან როგორ გაერევა შეიდი-რეა წლის ყმაწევილებში თოთხმეტი წლის შაქრო? ეს ხომ მისთვის სირცეებილი იქნება?!... ის დაკარგებით მისჩერებია მქადაგებელს და გულ-მოდგინეთ ისმერს თითოეულ მის სიტყვას და გულის ფიცარზე იწერს. მქადაგებელი დაწყნარ- და... ლოცვა-კურთხევა გადმოსცა ყველას. ხალხმა მუხლი მოიყა- რა და თავებინი სცა მას. შაქრომაც მოიყარა მუხლი და თანაც უზო- მოთ უხარია, რომ ელირსა მაცხოვრის ხილვას, იმ მაცხოვრისას, რომლის ამბების აღწერას დიდა აღტაცებით სწავლით კლასში. ა, აგერ მობრძანდება მაცხოვარი. „იყსო, ძეო დავრისაო! — მი- შეელე“ — შესთხოვს ბრძა, შესძახის მისუსტებული სწეული, შებ-



ლავის ჭურა. შეშლილი, და ის კურთხეული მაცხოვარი ყველას ერთი სიტყვით, ერთი ბრძანებით ჰქონდავს სენისგან. უხარის, ძლიერ უხარის სწორებს მორჩინა, აღტაცებულებმა აღარ იციან სიხარულით რა ქნან... ისინი მისახიან იცსოს: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“... ყველა მიზის მასთან ლოცვა-კურთხევის მისალებათ; ერთი-ერთმანეთს აწვებიან, ჩქარობენ, დიღი მოძრაობა, დღი ხმაურობაა... ბავშებმა თავი დაანებეს ცელიკობას, და გაეშურენ მაცხოვრისკენ — მისგან ლოცვა-კურთხევის მისალებათ, მაგრამ ხალხი არ უშევებს მათ, უშლის მაცხოვართან მისელას.

— თქვენ რალა გინდათ, ბავშებო, თქვენთვის არა სცალიან იცსოს — ამბობს ერთი ფარისეველი — წალით, წალით, ითამაშეთ, ხალხს ფეხებში ნუ ეჩირებით... იცსოსთან მისელა რა თქვენი საქმეა?! ჩეენ სულ სხვა ვართ, თქვენ ჯერ პირზე დედის რძე არ შევშრობიათ... წალით დაიკარგეთ... ეს სიტყვები იცსომ გაიგონა... ბავშები მანც თავისას არ იშლიან; იმათ უნდათ ხალხის გროვა შუალე გააპონ, მაგრამ დადები ხელს უცარავენ, არ უშევებენ, აბრკოლებენ...

— წალით, თორებ ამ ჯოხს ხედავთ?! — დაუყეირა ერთმა მოხუცებულმა ბავშებს ბავშები მაინც თავისას არ იშლიან. ისინი იცსოს მოციქულებს მიუახლოედენ, რადგან ევონათ, რომ ესენი მაინც დაეხმარებოდენ და მათ მაცხოვართან მიიყვანდენ ლოცვა-კურთხევის მისალებათ. მაგრამ იცსოს მოციქულებმაც არ აუსრულეს ბავშებს გულისწალილი. ახლა კი დალონებული თვალტრემლიანი ბავშები უკან გაბრუნდენ — სახე-მჭვერვარენი, მოწყენილი, დანალელიანებული. გულთა-მზილავმა მაცხოვარმა იცოდა, საქმე რაში იყო, ძლიერ გაჯაერდა და ბრძანა: „დააწადეთ, რომ ეგ უჟმები ჩემთან მოვიდენ და ნუ უშლით მათ, რადგან შაგათი და მაგათის მსგავსებისაა სასუფეკელი ცისა“. უეცრათ გაირღვა ხალხის გროვა და მრავალი ბავში ქუდ-მოხდილი მიეიღა მაცხოვართან, რომელმაც ისინი სიტყბოებით მაილო, თავზე ხელი დაადგა და აკურთხა... ამ შემთხვევით ისარტებლა შაქრომაც და მიეიღა მაცხოვართან, რომელმაც

მასაც დაადეა თავზე კურთხეული ხელები, დალოცა და აკურთხა. ბეღ-დნიერია შაქრი, ბეღნიერია, რომ ელიჩა მაცხოვების ნახეს; გული სიმოვნებით უძერს და გამოუთქმელ სიტყბოებას გრძნობს. მას სურს დიდხანს უცეიროს იესოს, მის ღმობიერ ღვთიურ სახეს, ისმინოს მისი პირ-წყლიანი მოძღვრება, მის გვერდით იყოს, მისი მოწაფე გახდეს, მისი მცნებების აღსრულებას თავისი სიცოცხლე შესწიროს....

ისევ დაიწყო იესომ ქადაგება. ხალხი სმენათ გადიქცა. შაქრის ესმის შემდეგი მისი სიტყვები, რომლებიც ქრისტეს მეორეთ მოსე-ლის და უკანასკრელ ვასაჩართლებას შეეხებიან: „როცა მოვა, ძე, კაცისა“ — ბრძანებს მაცხოვარი — „თვისის დიდებით და ყოველი ანგე-ლობებიც მასთან იქნებიან, მაშინ დაჯდება იგი დიდების ტანტზე, და ერყვის ცოდეილებს: წადიო ჩემგან, წყეულნო, სამუდამო გაუქ-რობელს ცეცხლში, რომელიც ეშმაკებისა და მათის მსახურებისთვი-საა გამზადებული: რადგან მშიოდა, და არ მაჭამეთ მე. მწყუროდა, და არ მასეით მე; შორიდან მოსული ვიყავი, და არ მიმიღეთ მე, შიშველ-ტიტველი ვიყავი, და არ შემმოსეთ მე, ავათ ვიყავი, და ჩემთან არ მოხვედით, საპყრობილეში ვიყავი, და არ მნახეთ მე. მა-შინ ცოდეილებმა უთხრან მას: უფალო! როდის გნახეთ მშიერ-, ან მწყურეალი, ან შორიდან მოსული, ან შიშველ-ტიტველი, ან ავათმყოფი და ან საპყრობილეში დამწყედეული და არ გაგიწიეთ სამსახური?... ამ სიტყვებს შემდეგ ცოტა შეჩერდა იესო, აქეთ-იქით გაიხედა, შენიშნა მრავალი გლახაკი თავის ახლოს, მათკენ ხე-ლი გააშვირა და ასე თქვა: „მაშინ მიუგოს ძემან კაცისამან ცოდეი-ლებს და უთხრას მათ: კეშმარიტათ გეტყვით თქვენ, არც არ უქა-გით ერთსა ამას მცირეთაგანსა, ჩემსა მმასა, არც მე მიუგით...“ შაქრი მიაჩერდა გლახაკთა გროვას: იქ იყვენ წელში მოხრილი მოსულე-ბულები, ტიტველ-შიშველი, ძონძებით შემოსილი, თვალცრემლია-ნი, ჩამომზარი, შიმშილით კუჭ-დამზევარი ადამიანი; იქ იყვენ უდედ მამო, დალონებული, ობოლი ბავშები, რომელთ რიცხვში შაქრობ

მოულოდნელათ შეემჩნია თავისი გულითადი მეგობარი გიგო, შე-ამჩნია და მისკენ სიხარულით გაიქცა. გიგომაც თვალი შეასწრო შაქროს და ისიც მისკენ გაეშურა... აი, კიდეც მიუახლოვდენ ერთმანეთს და, რომ უნდოდათ ერთმანეთი ტყბილი მეგობრული სიყვარუ-ლით დაეკოცნათ, — სწორეთ მაშინ გამოაჭიროთა შაქრომ თვალები... ის დედამ გამოაღვიძა: კლასში წასელის დრო არისო, მოემზადეო... შაქრო დიდ ხანს ვერ გამოირკვა ამ ტყბილი სიზმარილან... დილი-თვე ჩაის სმის დროს! მან დაწერილებით უამზო დედ-მამას თაეისი საუცხოვო სიზმარი.

— შეილო! ახან იგრე ლარიბია ი შენი მეგობარი გიგო, შენ-თან იცხოეროს, სანამდის სწაელის ჰაამთაერებდჲეს... სხეის შეილო-ბას არ ვაკრძნობინებთ... უთხრა მამამ შაქროს.


შაქროს გადმოცვიდა სიხარულის კრემლები, ენა დაება და მამისთვის უბრალო მაღლობის თქმაც კი ვეღარ მოახერხა...

ამას შემდეგ შაქრომ გიგო თაეის სახლში გადმოიყენა. მათ იორამმა მისკა ერთი პატარა ოთხი, რომელშიაც ისინი ერთათ ცხოერობდენ და ერთათ მეცადინეობდენ... შაქრო და გიგო დღე-საც მეგობრები არიან და ბეჯითათ სწავლობდენ ერთ სასწავლებელ-ში. იორამი თაეის ხარჯით ზრდის გაგოს და უპირებს მას თაეის შეილთან ერთათ უმაღლესს სასწავლებელში გაგზანას... შაქრო დღესაც კულ-კეთილია, ლარიბი და ლატაკი ებრალება. ყველა, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა შაქროს ემაღლიერება, აქებს და სულით და გულით ინატრიის მისთვის ბედნიერებას და დღეგრძელობას.

იღ. ფ—ძ.



## „ფული არ არის ბეჭნიერება“.



(რუსულიდან).

ვენიერი გაზაფხულის ღღე იდგა; ბუნება მორთულ-მოკაზმული მზეს ეალერსებოდა, ფრინველებს ჟივილ-სივილი გაჭქონდათ; აგერ მერცხალ-მა ცაში კეკლუცათ შეინაგარდა, იქ რამდენ ჯერმე შემოტრიალდა, აჭიკ-ჭიკდა და დაეშვა ძირს. ხეები ნაზათ შეირწენ, უვავილები აბიბინდენ, ბალახებში მიმალული ჭია-ღუა აფუფუნდა, სოფლის მცხოვრებნი ზამთრის მილისაგან გამოფეხისლდენ და ბან, მისცეს ბუნების მხიარულებას. ქალაქის მცხოვრებნი სოფლებისკენ გაემურენ.

სოფელ ივათოვაში სააგარაკოთ მოვიდა მოხელე ალფუსივერ ცოლით და შვიდი შვილით. ბავშების სისარულს; საზღვარი აღარ ჰქონდა, ტკბებოდენ სოფლის სიმვენიერით. მზე ამოჭეოფდა თავს თუ არა, ისინი წამოხტებოდენ ლოგინიდან და ხმაურობით, უკირილ-სიმღერით, იწეებდენ სირბილს პატარა ბაღში. ღღესაც ვაჟებს ერთათ მოეუარათ თავი და ცხენობანას თამაშოდენ,

უნცროსი სამი ქალი პეპელებს დასდევდენ, უფროს ქალი-შვილს ოლას, მოეკეცა ბალახებზე და წიგნსა კითხუ-ლობდა; ეტუობოდა წიგნს ძრიელ გაერთო, რომ თითქ-მის მთელი საათის განმავლობაში, თავი მაღლა არ აუ-ღია. მერე რაღაც ფიქრებმა გაიტაცეს და გამტერებული-დიდხანს ძორს გაიურებოდა. ამ ღროს სირბილისაგან-დაქანცულმა უნცროსმა მმამ, გასომ, მოირბინა და გვერ-დით მოუჯდა.

— რაზე ჩაფიქრებულხარ, ოლა? — ჰყითხა ვასომ.

— რაზე და სიმღიდორეზე. იცი, ვასო, ჩემის აზრით, სიმ-ღიდორეზე კარგი ქვეუანაზე არა არის რა, ვინც მღიდარია, ბედნიერიც ის არის! — ოლა დიდხანსა ლაპარაკობდა ამ საგანზე და ვასოს ერთი სიტევითაც არ შეუწევეტია მისი ლაპარაკი; მაინც ბავშები ოლას უფროსათა თვლი-დენ და მისი ლაპარაკიც ეოველთვის ჭიკიანურათ მიაჩი-დათ. ამ ლაპარაკის ღროს დედამ გაუარა გვერდზე და უური მოჭირა და-შმის ბაასს. — „ოლა, შეილო, შენ მა-ლიან შემცდარი ხარ, რომ სიმღიდორეს ეველაფერზე მაღ-ლა აუენებ; ეოველთვის ბედნიერება იქ ხომ არ არის, სადაც სიმღიდორეა.“ ოლას, დედის ლაპარაკზე ცოტათი შერცხვა, არაფერი არ უთხრა. მაგრამ გულში კი ისევ სიმღიდორეზე ოცნებობდა. მან ზარმაცხათ დახურა წიგნი და დანარჩენებთან ერთათ გაემართა აღვნისაკენ, სადაც საუ-ზმე უკვე მზათ იუო. ეოველთვის მათ საუზმეს შეადგინ-

და ერთი თავი საჭმელი, თითო ჭიქა რძე და შავი ზური, მაგრამ ბავშებს მაინც სუულველთვის გემრიელათ ეჩვენებოდათ ხოლმე. არ, ახლაც, უკელა გემრიელათ შეექცეოდა თავ-თავის წილს, მხოლოთ ოლა იჯდა ჩაფიქრებული, სანამ ცხენების ფეხის ხმამ არ გამოარკვია. ბავშები საუზმიდან წამოცვივდენ და მესრისაკენ მიაშურეს; მშობლებმაც მოიხედეს და დაინახეს შვერიერ ცხენზე მჯდომი-ძვირფასათ ჩაცმული, პატარა ქალი. ცხენს გვერდით მოს-დევდა ღიღი ძალლი. უკან მოსდევდათ მდიდრულათ ჩა-ცმული მოსამსახურე.

— აჟ, რა ბედნიერია! — წამოიძახა ოლამ, რომელმაც შურით მიაპურო თვალები ჰაფარა ქალს და მანამდის უუ-რებდა, სანამ იგი არ მიიმალა. როდესაც ბავშები დაწენარდენ და კვლავ შემოუსხდენ საუზმეს, მამა მიუბრუნდა ოლას და ჭკითხა: — რათა გგონია, შვილო, ის ბედნიერი?

— როგორ თუ რათა, მამა, განა სასიამოვნო არ არის, იმისთანა ცხენით სეირნობა და იმისთანა ჩაცმა.

— დიახაც, ჩემო კარგო, სასიამოვნოა, მაგრამ ნუ თუ მავაშია ბედნიერება?

— მაშ რაშია, მამილო? განა შეიძლება ჩვენი ცხოვრება შევადაროთ იმისას, ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება იმისთანა მორთულობა, არა გვექვს იმისთანა ცხენები და მოსამსახურები, ჩვენ უოველთვის ფეხით დავდა-ვართ, ან კიდევ დიდი ამბავია თუ ათასში ერთხელ ეტლით წა-



გალთ სადმე, ის კი... ოლაშ აღარ დაამთავრა სიტუაცია, წამოხტა, აკოცა დედ-მამას და საჩქაროთ გაიქცა წინანდელ ადგილას; ის სულ ჰატარა ქალზე ჰყიქრობდა; მის გულში გაიღვიძა რაღაც არა ჩვეულებრივმა გრძნობამ. მას შერდა ჰატარა ქალის მდგომარეობა. თუმცა ახსოვდა, დედის დარიგება: „თავის დღეში სხვისა არაფერი არ უნდა შეგმურდეთო“, ოლა გრძნობდა ამას, გრძნობდა, რომ ცუდი იქო შერი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოეხერხებინა მის წინააღმდეგ.

— ოლა, უუუ! — გაისძა მისი უმცროსი დის ხმა. — ჟაა, რა იქო? მიუგო ოლამ. — გძინავს? — არა. — როგორ არა, რომ თითქმის შეასეთ გემასი და შენ კი ჰასუს არ მაძლევ. — „მართლა? — მართლა, მაშ! — მაშ „მომიტევე ჩემო კარგო, არ გამიგონია; რა გინდოდა? — მამა გემასის. — რათა? — არ ვიცი. ოლა აუჩქარებლივ ადგა და გაემართა თთახისკენ. მამა საწერ მაგიდასთან იჯდა.

— მამა, შენ მემახოდი? — ჟო ჩემო კარგო, მე სათხოვარი მაქვს და უნდა ამისრულო. — დიდი სიამოვნებით, მამილო. — აი საქმე რაშია; ეს ქადალდები საჭიროა, რომ საჩქაროთ ჩემ უფროსს, თავად გორსკის, მიერთვას. ამისთვის დაგიმახე, რომ შენ წაგედო, რადგან მზარეული დედაკაცი სადილს გვიმზადებს, გოგო სარეცხსა რეცხავს და, ბავშვებს რომ მივანდო მემინია არ დაჲქარგონ. აბა, შეილო, შეგიძლია აასრულო? მისი აგარაკი ორი ვერსის სიშორეზეა.

— კარგი, მამილო, მე მხოლოთ კაბას გამოვიცვლი; ოლაპ საჩქაროთ ჩაიცვა ცოტა უკეთესი კაბა, გამოართვა მამას ქაღალდები და გაეძგზავრა. ბუნების სიმვენიერე არ იქცევდა ოლას ურადღებას. იგი მიდიოდა და თან ჭყიქრობდა: „ეჭ, დედაც და მამაც ცდებიან, რომ ამბობენ: ბედნიერებას სიმდიდრე არ შეადგენსო; ტეუილია, ჩვენ, რომ მდიდრები ვიუვეთ, მოსამსახურეს გავგზავნიდთ, ახლა კი მე უნდა შევასრულო მისი მაგიერობა და ისიც ფეხით; არა, არ დავიჯერებ, რომ სიმდიდრე არ იუს ბედნიერება. სუველაფერი სიმდიდრისგან წარმოდგება; მე დარწმუნებული ვარ, დღეს რომ ქალმა გაიარა, სრული ბედნიერია. ოჭ, ღმერთო, იმას ისეთი შევეღრი არგუნე, ის უოველისფრით დააჭილდოვე და მე კი.... ჭყიქრობდა ოლა და თან დაქანცულივთ მიდიოდა. აგერ თავადის აგარაკიც გამოჩნდა, ღმერთო ჩემო, რა შევნიერებაა და რა განსხვავებაა ამ შევნიერებასა და მათ პატარა სახლს შორის. განიერი ცაცხვის ხეივანი მიდიოდა ჰირდა-ჰირ საუცხოვო კიბემდის, რომელსაც ათასნაირი ჩუქურთმები და ქანდაკები ამვენებდენ; აქეთ-იქით იუო კვლები ვარდებით და ზამბახებით შემოზღუდული. იასამანი და სხვა-და-სხვა მცენარეები ამკობდენ ბალს. ოლაპ, გამტერებულმა ამ შევნიერებათ, გააღო კარები და შევიდა.

— რა გნებავთ, უმაწვილო, დაეკითხა ოლას ბვირფა-სათ ჩაცმული მოსამსახურე.

— მე თავადის ნახევა მინდა.

— თუ შეიძლება ცოტა ხანს მოითმინდო, თავადს მოვახსენებ.

— უთხარით, ომ ბატ. ალფუსიევის ქალს მოუტანია საჭირო ქაღალდებით. — მოსამსახურებ ჩუმათ დაუკრა თავი და გაბრუნდა უკან.

მარტოთ დარჩენილი ოლა ცნობის-მოვარეობით შინაგადა უკელავერს და უფრო და უფრო აღტაცებაში მოდიოდა. — მობძანდით, თავადი გთხოვთ. მოახსენა მოსამსახურებ.

ოლა ავიდა კიბეზე, გაიარა რამდენიმე ოთახი და შევიდა სამუშავო ოთახში, სადაც საგარმელზე გადაწოლილიუო ჯერ კიდევ ახალგაზდა თავადი.

— გამარჯობა, ჩემო პატია, — უთხრა თავადმა და წამოდგა მისაგებებლათ — მადლობელი ვარ ქაღალდებისთვის. ოლამ გარდასცა ქაღალდები — „პასუხი არაფერია საჭირო? კრძალვით დაეკითხა ოლა — არა ჩემო კარგო, მე მხოლოთ მინდოდა გადამეთვალიერებინა, სწორეთ არის გადაწერილი თუ არა. ხომ არ შეწუხდები ცოტა რომ მოიცავო?

— „არა, არ შევწუხდები. — მაშ დაბრძანდი; თავადმა სკამი უთხვაზა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოთ საათის ხმაურიბა არღვევდა ოლა აღტაცებაში მოჰყევდა, მდიდრულათ მორთულ თახსს. ამასობაში გაიარა ნახევარ საათმა; თავადმაც დაამთავრა კითხვა. — მადლობა გარდაე-


ცი მამას, ჩინებულათ არის გადაწერილი.— მაშ მე გიახ-  
ლებით.— შენი ნებაა, ჩემო კარგო, მაგრამ, ცოტა კიდევ  
რომ დაისვენო, კარგი იქნება; შენ ძრიელ დადალული იქ-  
ნები.— „არა მიშვერა, — მიუგო ოლამ, მაგრამ წასვლით  
კი არ წასულა, რადგან თავადმა ისე მოხერხებულათ და  
ტკბილათ დაუწეო საუბარი, რომ ოლა ნახევარ საათს  
კიდევ დარჩა.— ბავშო, მაშ თქვენ შვიდნი ხართ და ეველა-  
ნი კარგამეოფნი? — ოლა დააცემდა თავადის სახეს. დმერთო  
ჩემო! რამდენი ტანჯია, რამდენი ნაღველი და ღრმა მწუ-  
ხარება ისატებოდა იავადის ჯერ კიდევ ლბაზ სახეზე.  
— ჩემო კარგო, შენ მშობლებს შვიდი შვილი ჰყოლია, — გა-  
ნაგრძო თავადმა, — მე კი მეაგს მხოლოთ ერთი ქალი, რომე-  
ლიც უწეალოთ იტანჯება; პირველ დანახვაზე, ვერაფერს  
შეატუბოთ ჩემ მაშოს, რადგან იგიც წითლათ ლვიცის ჭ კარ-  
გი შეხედულობისაა, როგორც შენ. არაფერი არ აკლია ჭ  
არც დააკლდება, რადგან ჩემი სიმდიდრე მის ფერხთ-ქვეშ  
არის, მაგრამ ამის და მიუხედავათ, იმის სიცოცხლე უბე-  
დურებაა; იმიტომ, რომ დაბადებიდანვე ურუ და მუნჯია.  
— მწუხარებით დაათავა თავადმა. ამ ღროს მოისმა კაბის  
შრიალი; მმიმე სავერდის ფარდები შეინძრა და ოთახში  
ხმაურობით დიდი მაღლი შემოვარდა; მას მოჰევა პატარა  
ქალი, რომელმიაც ოლამ იცნო დილანდელი ნახული ქალი!  
საცოდავი ბავში მწარე ღიმილით მივარდა მამას, მოჰევია  
სელები და ცდილობდა გარდაეცა შთაბეჭდილება დღევან-



დელი სეირნობისა, თავადი მიჩვეული იუო ქალის სუ-  
ლის მდგომარეობის გაგებას და თვითონაც უტევი ნიშ-  
ნებით ანიშნებდა. ოლაპ ღიღხანს უეურა იმათ მუნჯურ  
ლაპარაკს, მაგრამ ბოლოს ვეღარ შეძლო, გამოვარდა  
ოთახიდან და გაემურა სახლისკენ. იქ უოველივე უამბო  
დედ-მამას, მმებს, ღებს და თან დაუმატა; „ახლა კი სრუ-  
ლიად დავრწმუნდი, რომ ფული არ უოფილა ბედნიერებათ.

— ახლაც გინდა, რომ მაშოს ადგილას იუო?  
ჭკითხა მამამ. ოლა ჰასუხის მაგივრათ მთლათ გაწითლე-  
ბული ჩამოეკიდა უელზე მამას და ცრემლებ მორეული  
არწმუნებდა, რომ ქვეუანაზე არას დროს, არავის მდგომა-  
რეობას არ შევიმურებო.

ელენე ან—სა.




სოლომას ლექსი.



დგა სოლომა, წავიდა,  
დაჟვა სტამბოლის გზაზედა:  
შეიდი დღე-ღამე იარა,  
ხონთქარს მიადგა კარზედა.  
ხონთქარი შინ არ დაუხვდა,  
ვეზირი მოდგა კარზედა;  
სოლომა შეიპატიფა,  
დასეა ხალიჩის თავზედა:  
—სოლომავ, რისთვის გარჯილხარ  
აშ დიდის ხონთქრის კარზედა?  
—არაფრისათვის, ბატონო,  
საქმე რამ მქონდა წამზედა.  
—სოლომავ, ძრიელ გაქებენ  
ჯირითის გასროლაზედა.  
ჩვენცა გვყავს ერთი არაბი,  
გათქმული, ქვეყანაზედა!..  
—მე ჯირითისა რა ვიცი,  
გაზდილმა გურჯისტანზედა!  
რაკი არ მამეშვებიან,  
შემსეან ნაქედსა ცხენზედა;  
ოქროს უნაგირ ზედ ედგას,  
ალმასი ერჭოს თავზედა;  
შეიდ მეჯინიბეს ეჭიროს,  
კიდევ დგებოდეს ყალხზედა!..  
ორშაბათ დილა გათენდა,

ଗାୟିଦ୍ୟେନ ମନ୍ଦରାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରା,  
 ଜାରିଗୋଟ ମନ୍ତ୍ରିହିସ ସନ୍ଧାନଲା,  
 ଏହାଦି ମନ୍ତ୍ରଲୟେ କ୍ରମିକ୍ଷେତ୍ରା;  
 ଏହି ଯେତ୍ରାନ୍ତା ଏହାଦିମା,—  
 ଏହିତିପ ଏହି ନୀତିପ୍ରା ତୁମିକ୍ଷେତ୍ରା;  
 ମେହାମେ ନନ୍ଦ ଗାନ୍ଧାରା,  
 ମନ୍ତ୍ରାନ୍ତିପ୍ରା ତୁମିକ୍ଷେତ୍ରା ତାମିକ୍ଷେତ୍ରା..  
 ସନ୍ଧାନଲାମ ପ୍ରକ୍ରିଯା ଏକପ୍ରା:  
 ଗାନ୍ଧାରାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରା ହିମିକ୍ଷେତ୍ରା!  
 ଏହାଦି, କିମି ନନ୍ଦିନୀ,  
 ସନ୍ଧାନଲା ମନ୍ତ୍ରଲୟେ କ୍ରମିକ୍ଷେତ୍ରା!  
 —ଏହିତିପ ମେତ୍ରି ଜିନିନଟିର ଏହି ଗ୍ରେନାରି,  
 ମାତ୍ରା ଲ୍ୟାଟିପ ଦେଇବଦାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରା!  
 ଏହିତି ଯେତ୍ରାନ୍ତା, ଏହାଦି  
 ଫାତ୍ରା ଦିନିଶ, ମିଥିଲା କାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରା!,  
 କୋନିକ୍ଷାରିଶା କାତ୍ରି ମିଥା:  
 ଏହାଦି ମନ୍ତ୍ରକ୍ଷେତ୍ରା ହିମିକ୍ଷେତ୍ରା!  
 —ହିମି ଏହାଦିଶ ମନ୍ତ୍ରକ୍ଷେତ୍ରା  
 ଏହି ମାମିଯାନ୍ତିର, କାରିକ୍ଷେତ୍ରା...  
 କୋନିକ୍ଷାରିତାନ ମିଥିଯାତ ସନ୍ଧାନଲା,  
 ଭୟକ୍ଷେତ୍ରି ମିଥିଶ ଗାନ୍ଧିକ୍ଷେତ୍ରା.  
 —ନ୍ତ୍ର ଗ୍ରେନାରିନାନ, ସନ୍ଧାନଲାପ,  
 ତ୍ୱରିତିକ୍ଷେତ୍ରି ଦାଗାଦଗମ୍ଭେନ ତାମିକ୍ଷେତ୍ରା;  
 ଭାନୁଦାଶ ଦାଗିଲାପାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରା  
 ଓମାଲିଶ ମିଥିଶ ହିମିକ୍ଷେତ୍ରା!



ବ୍ୟାକରଣ

କୁଟୁମ୍ବ ପାଇଁ ନାହିଁ । (ସଂଖ୍ୟାକଣ୍ଠରେ)



ადასახლებულთ, ჯგუფი გამოჰქცეოდა მტრებს და  
დასახლებულიყო ერთ მიერჩნილ და უდაბურ  
ადგილს. გაზაფხული იყო; გარდახევწილები ყურა-  
დლებას არ აქცევდენ, არაურათ აკდებდენ იმ გა-  
რემოებას, რომ ახლო-მახლო სრულიად არ მო-  
იპოვებოდა არც მდინარე, არც წყარო. ერთმა მათ-  
განმა, უფრო გამოცაილმა და შორს გამჭვრეტმა,  
მიაქცია ყურადლება ამ არა სასურველ გარემოებას  
და თავის არჩეულ ბინაზე მიკუთ ხელი ჭის თხრას;  
ამ საქმეში გულიანათ შეელოდენ მისი ამხანაგები,  
რადგანაც სხვა საქმე არა ჰქონდათ-რა. რამდენისამე  
ბარის დაკვრაზე—ოჟ, საკვირველებავ! —აღმოჩნდა ძარღეი წყაროსი  
და უხევთ გადმოხეთქა ცემა წყალმა. პატრონს (მისი სახელი იყო  
ჰაგა) ძალან გაეხარდა, აგრეთვე გაეხარდათ მის გულწრფელ მევო-  
ბრებსაც, რომლებიც ღმერთს მაღლობდენ, რომ ამისთანა მოულო-  
დნელი წყალობა ვამოუგზავნა მათ მეზობელს, დარწმუნებულნი იყვენ,  
რომ ცის ნამი არ მოაკლდებოდათ, მაგრამ თუ ოდესმე მაინც და-  
კლდებოდათ, სადარდელი არ გაუხდებოდათ, რადგანაც მათი მეზო-  
ბლის ეზოში ამოჩეუხებდა ლამაზი წყარო, რომლის წყალსაც  
პატრონი არ დაუჭერდა, მით უფრო, რომ—ფიქრობდენ—იმდენი  
წყალი მისთვის საჭირო არ იქნება და წილს დაგვიდებსო. თუმც  
მათი ჭკუა და საღი მსჯელობა ასე აფაქრებდა მათ, მაგრამ სულ  
მხედა იყო ფიქრი ჰაგასი.

წყაროს წყალი-კი სულ ქვეითა და ქვეით მიღიოდა.



მინდვრები დახნეს, დათესეს; წვიმებისა და მაცოცხლებელი მზის სხივების წყალობით თესლი გაღვიყდა, ლამაზათ აბიბინდა და რამდენისამე კეირის შემდეგ ჯეჯილი უკვე ერთ მტკაცელს ასცილდა. დარი შეიცვალა: დილიდან საღამომდის სულ მოწმედილი იყო. მზებ უფრო მოუჭირა; აღმოსავლეთის ცხელმა ქარებმა ჯეჯილი შეაყვითლა. წყაროს პატრონი კი არ დარღობდა: თავის ყანაში წყალი შეუკლო და გადაარჩინა გოლვას. სხეებმა რომ ეს ნახეს, მოისურვეს აგრეთვე მორწყვა თავისი ყანებისა, მაგრამ ჰავამ წინადლითვე პირობა ჩამოართვა. „თუ მომეშველებით წისქვილის გამართვაშიოუთხრა მან, —მაშინ არა თუ წყალს დაგანებებთ, არამედ წისქვილსაც გათხოვებთ პურის დასაფქვევათო“. გარდახევწილნი დარწმუნ უნდისი ნათქვამის სიმართლეში: მართლაც საჭირო იყო წისქვილი. მიოტომ სიხარულით შეუდგენ წისქვილის შენებას, რომლის სამაგიდოოთაც ჰავამ დაანება წყალი, რომ მოერწყოთ თავისი ყანები. დადგა შეუ ზაფხული; ყანები შემოვიდა, როცა გარდახევწილთ გათიშეს ყანები და გალეწეს, მივიღენ ჰავასთან და უთხრეს: „წისქვილი გვათხოვე, პური უნდა დაეფქვათო.“ ჰავამ უთხრა: „ჩემ საღომშის გარშემო ქვის მაგარი გალავანი შემოავლეთ და დაგაფქვევენებთო“. მართლაც მის სახლს შემოავლეს მაღალი და მაგარი გალავანი და მკვიდრი კარები გაუკეთეს, რომლის შემდეგაც დაფქვეს ხორბალი თავისი პირეველი მოსაელისა. გავიდა ზამთარი და დაღგა გაზაფხული; გარდახევწილნი კელავ შეუდგენ ხენა-თესებას. ჰავამ უთხრა მათ: „ჩემი მიწები დახანით, დათესეთ და მომიმკეთ, თორებარც მოსარწყავ წყალს მოცემოთ და არც წისქვილსაო“. გარდახევე-წილით მოიფიქრეს და დაეთანხმენ: მოუხნეს, დაუთესეს და მოუმკეს; თითონ ჰავა კი არა თუ შეელოდა, არამედ თავზედაც ადგა და მკაცრ განკარგულებას აძლევდა, ერთი სიტყვით, უგვირგვინოთ გვირგვინოსნობდა მათზე.

ცოტა ხანს შემდეგ უთხრა მათ ჰავამ: „ეს ზაფხულში რომ წყალს ხმარობთ, იმაში მიწებს მიმუშვებთ, დანარჩენი დროის გან-

მავლობაში რაღა უნდა მომცეთ? აი, ამ გვარ გარდასახადს დაფა-  
ლებთ: ყოველ კოკა წყალზე უნდა მომცეთ ამდენი და ამდენი მუ-  
ჭა ხორბალი, თუ არა და—თქვენთვის წყალი არა მაქვსო“. და თა-  
ვის ეზოში ამოთხარა უშველებელი ორმო და წყალი შიგ მიუშეა.  
გარდახევწილნი დარჩენ უწყლოთ. ადამიანისთვის წყალი ყოველთვის  
საჭიროა—დასალევათ, საჭმლისთვის, სარეცხისთვის, ცხენისა და სხვა  
საქონლისთვის; როცა სოფლელებს წყალი ჭირდებოდათ, მიჰქონდათ  
ხორბალი და აძლევდენ ჰავას, პირიდან ლუქმას იცლიდენ და მის  
ბეღლებს კი ავსებდენ: არდენათაც ჰავას სახლი შენდებოდა, იმდე-  
ნთ მისი მეზობლები ლარიბდებოდენ.


„ჰოი კაცო! — ეტყოდენ ხოლმე მეზობლები—ლმერთს დაულო-  
ცნიხარ თვისი უხევი მარჯვენით: არც პური გაკლია, არც წყალი და  
არც ჩევნგან პატივისცემა და სამსახური. მაგ ულეველ წყალს, რო-  
მელსაც აგროვებ ორმოში, ვერ გამოლევ ვერც შენისა და ვერც  
შენი შეილების საჭიროებაზე; დრო გამოშებოთ ჩევნც მოგვეცი!  
პირები გაგვიშრა, საქონელი გვეტანჯება, ჭუჭუმა შეგვჭამა, ყანები  
დაგვიხმა, შეგვიბრალე! ჩევნი სიმაძლრით არასოდეს მშერი არ დარ-  
ჩები!... შეუარალებლათ რათ უყურებ ჩევნ გაჭირებას? სიღარიბე  
ბოლოს მოგვილებს, შეგვიბრალე!“

ჰავა კი უფასოთ არავის აძლევდა არც ერთ წყეთ წყალსა და  
არც ერთ მუჭა ხორბალს. თვის გარშემო მყოფთა ტირილი, ცრე-  
მლი და გულის-მომწყვლელი ვეღრება არა თუ სიბრალულის ნა-  
პერწყალს ჰერიდა, არამედ ახარებდა კიდეც. იკი მხიარულობდა და  
დღესასწაულობდა მხოლომ მაშინ, როდესაც სხევბა ტიროდენ და  
სწუხდენ.

ერთ გაზაფხულის ღამეს, როდესაც ჰავას წყლის ორმო პირამ-  
დის აესილიყო და ეზოს რეინის კარები მაგრათ იყო ჩაკეტილი  
ურდულებით,—უცებ აირიენ ღრუბლები, ცამ გაიელვა და დაუშეა  
საშინელი წეიმა, ისეთი ძლიერი, რომ კაცს ეგონებოდა კოკებით  
ასხამენო. წყალმა იწყო ორმოზე გადასელა და, რადგანაც მაგარ გა-

ლავანსა და დაკეტილ კარებს გზა შეეკრათ, ეზოში გუბდებოდა. წმიმა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ეზოში წყალიც მაღლა იწყებდა. სახლის კარებმა ველარ გაუძლო, გაიღო და წყალი წარმონასებრ შეეარდა სახლში. ჰავა და მისი ოჯახის წევრნი შედგენ სა- კარძლებზე და მაგიდებზე, ჩაგრამ წყალი იქაც შესწევდა, წმიმას კიდევ არ- გადელო; შიწიდან წყლები გამოჩხრიალებდა, წყალი შეეარდა ბელ- ლებში, ხორბალი დაასველა, მთელი სარჩო-საბადებელი სულ გაა- თხრა, პირუტყვი საქონელი დაახრჩო, დაიტაცა. წმიმა გადულებლივ მოდიოდა, ღრუბლები გაშმაგებულათ ირეოდენ; წყალმა უწია ჰავას კოჭებს, შემდეგ მუხლებს, მუცელს, მკერდს და მხრებს... „ახ! — გაიფიქრა ჰავამ — რატომ ერთი კარები არ გაიღება, რომ წყალმა გზა- იპოვნოს და დახრჩობას გადავრჩეთ!...“ მაგრამ კარები თითონვე მა- გრათ დაკეტნა, რომ მეზობლები არ შეპარულიყვენ და გამშრალი პირები არ დაესველებიათ. წყალმა გზა ვერ ვპოვნა, უფრო ამაღლდა და დახრჩო ჰავა სახლიდით, რომელიც ერთ წევთ წყალსაც არ იმეტებდა მეზობლებისთვის!...

ბ. ეგანგულოვი.





## დათუნიას ოჯახობა.

### I

**ს**იგმე-სიგანეზე გაჭიმულა უზარ-მაზარი ტექ. ხეები ჯარებივით ჩამწკრივებულან და ამავათ ცაში იცემორებიან. ტლანქი ტოტები მორს გაუმვერიათ, ერთი ერთმანეთისთვის ძიუწვდენიათ, როგორც სელი სელს გადახვეულ ერთგულ მეგობრებს, და გახლართ-გამოხლარ-ტულან, გაერთებულან, ქოლგასავით გადახურებიან არე-მარეს. იმვიათათ გაატანს მზის სხივი ამ დაბურულ ტო-ტებში, რომ შეაჭერიოს სასიხარულოთ ტეის მცხოვრებ-ლებს; უფრო იმვიათათ მოხვდება ადამიანის ფეხი და თვალი ამ ტეის შეაგულ ადგილებს.

ახალი გაზაფხულია და ტექ ნელა-ნელა იღვიძებს ზამთრის ღრმა ძილისაგან. თოვლი დნება, ხეები აქა-იქ იმოსებიან ნორჩი კუკურებით. დედამიწიდან ამოდის მწვა-ნე ბალახი, ფრინველები შეიარული ჭიკჭიკით დაგოგმა-ნებენ ტოტიდან ტოტებზე და ბუდეებს იკეთებენ. აქა-იქ გაჩენილ გუბეებში სტუნაობენ ბაჟაურ-ეუენები და თავის შიქასტა-ბაიათებს დასმახიან სხვა-და-სხვა ჭანგზე.

მაისის საამო დილაა. შეიარული, ალერსიანი პზე

აცოცხლებს ბუნებას და ჯერ კიდევ ტეის დაუბურავ ტო-  
ტებში ანათებს გამაცოცხლებელი სიცივებით. ღრმა და  
ბნელ ხაროდან გამოვიდა დედა დათუნია თავისი ქალ-  
ვაჟით გაზაფხულის წმინდა ჰაერის ჩასალაპავათ. მასაც  
მოწეინდა ამდენი ხანი ბუნაგმი გდება და თვალს წეალი  
უნდა დაალევინოს; ქვეუანა დაანახოს, აჩვენოს მტერსა და  
მოკეთეს საქორწილო ქალ-ვაჟი, ავი და კარგი გააგებინოს,  
ჰგუა-კონება ასწავლოს.

მეტათ სასაცილოთ და თან საუკარლათ დაბაჯბაჯობ-  
დენ თთხი თვის დათვის ბელები. გადღვრენილი, დარგვა-  
ლებული, მოუხეშავები ზლაზვნით გადად-გადმოდიოდენ  
გასუქებულ ბატებსავით და მიძუნბულობდენ დედა დათუ-  
ნიასაკენ.

დედა დათუნია სიფროსილითა და შზრუნველობით ადეუ-  
ნებდა თვალ-ურს თავის ბელების და თითოეულ იმათ იუ-  
ხის გადადგმაზე რაიმე შენიშვნას აძლევდა.

— კოგო, ვისა გეგხარ, მე უბედური დღის გაჩენი-  
ლო! როგორი შენი დედ-მამის შვილი ხარ! ეუბნებოდა  
დათუნ-დედა თავის ქალ-ბოკვერას (ბელს): „რათა ხარ  
აგრეთი დუღულა, მშიძარა და გულკეთილი? ჭადიდან ნა-  
ხშირი ვერ გამოგიღია! გლეხის პატარმალივით მოგიკუ-  
მავს პირი და ბაგეს ბაგეს არ აშორებ! მალიან მაწუხებს,  
შენმა გაზდამ, შენი მაგიგარი საქციელი, რომ ვერაფერ  
წარმატებას ვერა ვსედავ შენში! აი, შენ მამია დათოს

